ა(ა)იპ საქართველოს რაგბის კავშირის

არჩევნებში კენჭისყრისას ხმის მიცემის პროცედურა

1. სრკ-ს პრეზიდენტი აირჩევა სრკ-ს საერთო კრებაზე ღია კენჭისყრით.
2. სრკ-ს საერთო კრებაზე კრების თავმჯდომარე ასახელებს სრკ-ს ნამდვილ წევრს;
3. ნამდვილი წევრის უფლებამოსილი პირი სამდივნოს წარუდგენს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს და ხელს აწერს კენჭისყრის სარეგისტრაციო დოკუმენტს. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის გარეშე უფლებამოსილ წევრს ბიულეტენი არ გადაეცემა.
4. ნამდვილი წევრის უფლებამოსილი წარმომადგენელი იღებს სამდივნოს მიერ ბეჭედდასმულ ბიულეტენს;
5. პრეზიდენტის არჩევნები ტარდება ერთ ტურად.
6. პრეზიდენტობის კანდიდატთა არჩევნები ტარდება ღია წესით, მანდატის აწევით.
7. პრეზიდენტობის ორზე მეტი კანდიდატის არსებობის შემთხვევაშიც, არჩევნები ტარდება ერთ ტურად, გამარჯვებული გამოვლინდება სხვა კანდიდატებთან შედარებით მეტი ხმის (დამსწრე ხმების უბრალო უმრავლესობით) მიღებით.
8. საერთო კრების მიმდინარეობის ვიდეოგადაღებას უზრუნველყოფს კავშირი.